

ვაქცინებისა და მათი გამსხნელების ვარგისიანობის ვადები და მარაგის მართვა

ვარგისიანობის ვადა

ყველა ვაქცინას და გამსხნელს გააჩნია ვარგისიანობის ვადა, ანუ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა ხდებოდეს ვაქცინების და მათი გამსხნელების გამოყენება. ვარგისიანობის ვადა აღნიშნულია ყველა ვაქცინისა და გამსხნელის ფლაკონზე და/ან შეფუთვაზე. ვაქცინებისა და გამსხნელების ვარგისიანობის ვადის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მათ სახეობაზე და სერიაზე.

ვაქცინებისა და გამსხნელების გამოყენება დასაშვებია ფლაკონზე და/ან შეფუთვაზე მითითებული ვადის ბოლი თარიღის ჩათვლით, იმ შემთხვევაში, თუ ფლაკონზე და/ან შეფუთვაზე არ არის სხვა რაიმე მითითება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ვაქცინისა და მისი გამსხნელის გამოყენება დაუშვებელია. მაგ: თუ ვარგისიანობის ვადაა 1/15/08 (2008 წლის 15 იანვარი), ვაქცინა და გამსხნელი გამოიყენება 2008 წლის 15 იანვრის ჩათვლით, ხოლო 16 იანვრიდან - გამოყენება დაუშვებელია.

როდესაც ვარგისიანობის ვადაში აღნიშნულია მხოლოდ წელი და თვე, ვაქცინა და გამსხნელი გამოიყენება აღნიშნული თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით. ნებისმიერი ვაქცინისა და გამსხნელის გამოყენება მითითებული თვის გასვლის შემდეგ, ანუ მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, დაუშვებელია. მაგ: თუ ვარგისიანობის ვადაა 1/08 (2008 წლის იანვარი), ვაქცინა და გამსხნელი გამოიყენება 31 იანვრის ჩათვლით, ხოლო 1 თებერვლიდან მათი გამოყენება დაუშვებელია.



როგორ მოვექცეთ ვადაგასულ და გაუვარგისებულ ვაქცინებს და გამსხნელებს?

ვარგისიანობის ვადის გასვლიდან თუნდაც ერთი დღის შემდეგ, ვაქცინების და გამსხნელების გამოყენება დაუშვებელია (ისევე როგორც კონტამინირებული და იმ ვაქცინებისა, რომელთა შენახვის პირობების დარღვევის გამო დაკარგული აქვთ ეფექტურობა). თუ შეცდომით მოხდა ვადაგასული ვაქცინების გამოყენება, აცრა არ მიიჩნევა ჩატარებულად და უნდა განმეორდეს, ვიდრე სეროლოგიური ტესტი არ აჩვენებს, რომ ვაქცინაზე მიღებული იქნა ადექვატური პასუხი. ასეთი ვაქცინები და გამსხნელები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოღებული მაცივრებიდან და საყინულეებიდან, ჩამოიწეროს და განადგურდეს ქვეყანაში მოქმედი წესების შესაბამისად.

ვარგისიანობის ვადის უგულებელყოფის შემთხვევები

ვაქცინის ტრანსპორტირება და შენახვა უნდა მოხდეს სათანადო ტემპერატურული პირობების დაცვით. დაბალი ან მაღალი ტემპერატურისა და სინათლის ზემოქმედებისას ვაქცინები კარგავენ ეფექტურობას, რის გამოც მათი გამოყენება


დაუშვებელია ვარგისიანობის ვადის ხანგრძლივობის მიუხედავად. (პრობლემის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა ვაქცინებისა და გამსხნელების შენახვა/ტრანსპორტირების ყველა ეტაპზე ტემპერატურული მონიტორინგის ჩატარება, ასევე მნიშვნელოვანია სინათლისადმი მგრძობიარე ვაქცინების (მაგ: **HPV, MMR, MMRV, rotavirus, varicella**) სინათლისაგან დაცვა.)

ვარგისიანობის ვადის გასვლამდე გამოუყენებელი ვაქცინების ან გამსხნელების ტრანსფერი

თუ არის საშიშროები იმისა, რომ ვაქცინის გარკვეულ რაოდენობას ვერ გავხარჯავთ (გამოიყენებთ) ვარგისიანობის ვადის გასვლამდე და მაღალია მისი ჩამოწერა/განადგურების ალბათობა, სასურველია დაუკავშირდით ვაქცინების მომწოდებელს ან იმუნიზაციის პროგრამის სახელმწიფო სტრუქტურებს, აღნიშნული რაოდენობის სხვა დაწესებულებებზე გადანაწილების მიზნით. თქვენ შეგიძლიათ ვაქცინები და გასხნელები დააბრუნოთ ან გადასცეთ სხვას, ვარგისიანობის ვადის გასვლამდე მათი უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის.

სხვადასხვა ვაქცინების ვარგისიანობის ვადა

მრავალდოზიანი ზოგიერთი ვაქცინა შეიცავს ბაქტერიოსტატიკულ ნივთიერებებს (კონსერვანტი), რაც ხელს უშლის ბაქტერიების გამრავლებას. ცივი ჯაჭვის მოთხოვნების დაცვის პირობებში, ასეთი ვაქცინების გასხნილი ფლაკონების გამოყენება დასაშვებია ფლაკონზე მითითებული ვარგისიანობის ვადის გასვლამდე და/ან ქვეყანაში მოქმედი წესების ფარგლებში, თუ მანამდე არ მოხდა კონტამინაცია. ერთდოზიანი ფლაკონები ერთჯერადი გამოიყენებისაა. ვაქცინის გამოყენების წინ შეამოწმეთ ფლაკონი, რათა დარწმუნდეთ, რომ ხელთ გიკავიათ საჭირო ვაქცინა, მოხსენით ფლაკონის დამცავი თავსახური უშუალოდ ინექციის ჩატარების წინ. თავსახურის მოხსნის შემდეგ გამოუყენებელი ერთდოზიანი ფლაკონები დღის ბოლოს უნდა განადგურდეს.



ერთდოზიანი ფლაკონები განკუთვნილია ერთჯერადი გამოყენებისათვის

აღდგენილი (განზავებული/გასხნილი) ლიოფილიზებული მრავალდოზიანი ვაქცინის გამოყენება და განადგურება უნდა მოხდეს მწარმოებლის მიერ მითითებული დროისა და/ან ქვეყანაში მოქმედი წესებით განსაზღვრული დროის განმავლობაში. ერთდოზიანი, ლიოფილიზებული ვაქცინები, როგორც წესი, გამოიყენება აღდგენიდან 30 წუთის განმავლობაში და ინახება სინათლისაგან დაცულ ადგილას.